ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

№41 09 ნოემბერი 2017 წელი

ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი მაია თელია (შემდგომში შემსყიდველი) და მეორე მხრივ შ.პ.ს „ელექტროკომპლექტი"-ის დირექტორი დავით კახიძე, შემდგომში /მიმწოდებელი/ ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების ობიექტია შეუფერხებლად და ხარისხიანად უზრუნველყოს თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისათვის 7(შვიდი) ცალი გაზის გამათბობლის AOG 5 SPBR SIT, თითოეულის ფასი 390.00 (სამასოთხმოცდაათი ლარი და 00 თეთრი)ლარი, შეძენა და მიწოდება, მთლიანი თანხით 2730.00 (ორიათასშვიდასოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

CPV - კოდი 39721411- გაზის გამათბობელი- 2730.00(ორიათასშვიდასოცდაათი ლარი და 00 თეთრი)ლარი

საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2730.00 (ორიათასშვიდასოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს

ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ზედნადების საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

მიღება-ჩაბარების წესი

4.1 დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ: ზ.ივანიშვილი, ზ.კენჭიაშვილი და გ.ბაიაშვილი.
4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულების ყველა პირობა და განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
5.2 შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უმაღლეს დონეზე.
5.3 დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებში.

ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 ხელშეკრულების არშესრულების შემთხვევაში დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.2 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს გაერთიანების საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი ზოია მარტოლეკი.

მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ანდა დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შემდეგ იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკურლების შეწყვეტის შესახებ
8.4 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.
შეთანხმების მიუღწევლოის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ფორსმაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით (ხანძარი, წყალდიდობა და სხვა სტიქიური მოვლენები, ომები, ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა) თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.მხარე რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება , დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება კანონმდებლობით.
11..2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 25 დეკემბრამდე.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

დამკვეთი

თვითმმართველი თემის
მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო
დაწესებულებათა გაერთიანება

ს/კ 436036371

ტელ. 593787531
ხაზინის რეკვიზიტები:

ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბ/კ TRESG 22
მის: მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. №73

გაერთიანების დირექტორი

მაია თედორაძე

შემსრულებელი

მიმწოდებელი
შ.პ.ს. „ელექტროკომპლექტი"

ს/კ 200204947
სს "საქართველოს ბანკი "

ბ/კ BAGAGE22

ა/ნ GE14BG0000000671142200

ტელ: 599 50 74 72
მისამართი: ქ.თბილისი სარაჯიშვილის №6

შ.პ.ს. „ელექტროკომპლექტი"-ს დირექტორი

დავით კახიძე

მიღება – ჩაბარების აქტი

ქ. მცხეთა 10 ნოემბერი 2017 წელი

ა(ა)იპ თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილემ ზ.ივანიშვილმა, სამეურნეო განყოფილების უფროსმა ზ.კენჭიაშვილმა და სამეურნეო განყოფილების მთავარ სპეციალისტმა გ.ბაიაშვილმა შევადგინეთ აქტი, მასზედ რომ შ.პ.ს „ელექტროკომპლექტი"-საგან შეკვეთილ 7(შვიდი) ცალი გაზის გამათბობელი AOG 5 SPBR SIT, თითოეულის ფასი 390.00(სამასოთხმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი, მთლიანი თანხით 2730.00 (ორიათასშვიდასოცდაათი ლარი და 00 თეთრი)ლარი

CPV - კოდი 39721411 – 7 ცალი გაზის გამათბობელი -2730,00ლარი

სულ: 2730.00 (ორიათასშვიდასოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი

ჩავიბარეთ:

გაერთიანების დირექტორის მოადგილე: ზ.ივანიშვილი

სამეურნეო განყოფილების უფროსი: ზ.კენჭიაშვილი

სამეურნეო განყოფილების მთ.სპეციალისტი: გ.ბაიაშვილი

ჩაგვაბარა:

შ.პ.ს „ელექტროკომპლექტი"-ის დირექტორი: დ.კახიძე